ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 74

"18" მარტი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა №24-ში (საკადასტრო კოდები: №01.18.03.068.007.01.534 და № №01.18.03.068.007.01.535) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა №24-ში (საკადასტრო კოდები: №01.18.03.068.007.01.534 და №01.18.03.068.007.01.535) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 1 მარტის №22.256.283 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა №24-ში, პირველ სართულზე მდებარე 70.22 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.068.007.01.534) და 12.89 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: *№01.18.03.068.007.01.535)* პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე მედეა გაგნიძისთვის (პ/ნ. 59004001514) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე